ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2835841

ნომერი: AR1439407

თარიღი : 10.09.2016

გაცემის თარიღი : 14.09.2016

გაცნობის თარიღი : 16.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაისურაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ქებაძე პ/ნ 59001006373
- გორი ს. მელვრეკისი

ორგანიზაცია:

- შპს ჯეო-მოტორსი კოდი: 40624145

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება ხდება არსებული შენობის მიშენებულ ნაწილზე, რომელიც საკადასტრო გეგმაზე არ არის დაფიქსირებული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ დგინდება აღნიშნული მიშენების კანონიერების საკითხი (არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო მიშენების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს), იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტები ან ლეგალიზების აქტი, კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთებთან ერთად.

მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხის დაზუსტების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ იქნება შესაძლებელი განაცხადის განმეორებით განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რომლის დროსაც დამატებით გასათვალისწინებელი იქნება:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - ფოტომონტაჟის მსგავსად არსებულ ფოტოზე დაიტანეთ გაბარიტული ზომები
2. მეტი თვალსაჩინოებისათვის ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო შენობის მონიშვნით.
3. ამასთან აღნიშნული ობიექტი უნდა ფიქსირდებოდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში და საკადასტრო გეგმაზეც.

გაითვალისწინეთ: სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.